GRASS
REFORMANDA

ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
წერილის რეგისტრაციის № 243
თარიღი: 3 07 2015 წ.

GRASS
FACTCHECK

პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარეს

თამაზ მეჭიაურს

ბატონო თამაზ, გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი საჯარო ინფორმაცია:

- რა ძირითადი განსხვავებებია „ეროვნული ბანკის შესახებ" ინიცირებული კანონპროექტის თავდაპირველ ვარიანტსა და რეკომენდაციების გაზიარების შემდეგ მიღებულ ვერსიას შორის? (გთხოვთ, ინფორმაცია მოგვაწოდოთ შესაბამისი მუხლების თავდაპირველი ვარიანტებისა და რეკომენდაციების გაზიარების შემდეგ შესული ცვლილებების შესაბამისად);

- კანონპროექტის შემუშავების რომელიმე ეტაპზე, ჩართული იყო თუ არა რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაცია, ან ექსპერტი საკანონმდებლო ინიციატივის დახვეწაში?

- რომელი საერთაშორისო ორგანიზაციის, ან ექსპერტის რეკომენდაციების გაზიარება მოხდა კანონპროექტის შემუშავების პროცესში? (ასეთის არსებობის შემთხვევაში გთხოვთ მიგვითითოთ შესაბამისი მუხლი, ან მუხლები, რომელიც საერთაშორისო ორგანიზაციების, ან ექსპერტების რეკომენდაციების შემდეგ შეიცვალა);

- რა მიზეზით მოხდა ეროვნული ბანკისგან ფინანსური საზედამხედველო ფუნქციის გამოყოფა და ვის მიმართ იქნება ანგარიშვალდებული ახალი სააგენტო?

პატივისცემით,


პაატა გაფრინდაშვილი

ფაქტ-მეტრის მთავარი რედაქტორი

„საქართველოს რეფორმების ასოციაციის" (GRASS) ვიცე-დირექტორი

მისამართი:

თბილისი, მიცკევიჩის 27

საკონტაქტო პირი:

ლაშა სენაშვილი

მობ: 598 809 512 / ელ. ფოსტა: lashasenashvili@gmail.com


საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
შემოს. № 14289
06. 07. 2015 წ. ფურც. 1